ენერგოტრანსი

საქართველო, თბილისი 0105, ბარათაშვილის 2,/ 2 Baratashvili str. Tbilisi 0105, Georgia ტელ./ფაქსი/tel./fax: +995(32)2510140

325-01-2-201904121428

12/04/2019 N 325

საქართველოს გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილეს
ქ-ნ, ნინო თანდილაშვილს

ქალბატონო ნინო,

თქვენი 2019 წლის 5 აპრილის N 3586/01 წერილის პასუხად, რომელიც ეხება გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით წარმოდგენილ 500 კვ ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზის „ქსანი-სტეფანწმინსდის“ მშენებლობის და ექსპლუატაციის პირობების ცვლილების (სოფ. ჭართალთან დაახლოებით 4,1 კმ სიგრძის მონაკვეთის ცვლილება) პროექტს, გაცნობებთ, რომ სოფ. ჭართალის შემოვლითი 4,1 კმ მონაკვეთი იწყება უკვე დამონტაჟებული N125 ანძის ადგილმონაცვლეობით ხაზის კორიდორში (~10 მ.) 124 ანძისკენ - შემდეგ იგი უერთდება იმავე ეგხ-ს N131 ანძას (ახლი ნომერი 134 DN), რომლის მდებარეობა არ იცვლება, ხდება მხოლოდ არსებული პოლიგონების ფარგლებში ორიენტაციის შეცვლა (შემობრუნება). რეალურად იგეგმება ამ ორ კუთხურ ანძას შორის (#125; #131) შეცვლილ მარშრუტზე 8 ახალი ანძის დამონტაჟება. შესაძლოა ყოველივე ამან გამოიწვია ანძების რაოდენობასთან დაკავშირებული ის უზუსტობები, რაც შემდგომ აისახა პროექტის გზშ-ში.

გარდა ამისა წარმოგიდგენთ სატყეო სააგენტო ტერიტორიებზე აღრიცხული ტყეკაფების პასპორტებს, რომლებზეც გადის ეგხ-ს ბუფერული ზონა და მისასვლელი გზები.

რაც შეეხება წიფლის ჰაბიტატებზე ზემოქმედების შემარბილებელ ზომებს ამ მხრივ ყველაზე ეფექტური შემარბილებელი ზომაა ხეების ჭრების ადგილების სიახლოვეს ანალოგიურ ჰაბიტატებში წიფლის ხეების დარგვა და გახარება პროპორციით მაგ. 1-4, რისი განხორციელებაც მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით ეკისრება საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, მას შემდეგ როც პროექტის განმხორციელებელი კომპანია გადაიხდის შესაბამის საკომპანსაციო თანხას.

ასევე, გთხოვთ იხილოთ დანართში პასუხები არასამთავრობო ორგანიზაციის კომენტარებზე.

პატივისცემით,
რომეო მიქაუტაძე

დირექტორი